



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია

აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის

2018 წლის 22 დეკემბრის #77 დადგენილებით

ბიბლიოთეკის მისია და სტრატეგიული გეგმა

მისია

- თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მისიაა ხელი შეუწყოს ცოდნის შექმნასა და გავრცელებას;
- უზრუნველყოს ფონდებისა და კოლექციების მრავალფეროვნება და იზრუნოს ყველა მკითხველისთვის საბიბლიოთეკო რესურსისა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე;
- მომხმარებლისთვის შექმნას მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სამუშაო გარემო, შესთავზოს ღია, მულტიკულტურული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო და კვლევითი სივრცე;
- საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს შესაბამისი კონსულტაცია მკითხველებს;
- იზრუნოს ბიბლიოთეკის ფონდისა და ქონების დაცვაზე;

ღირებულებები:

ღიაობა, მრავალფეროვნება, ეფექტური კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ეთიკურობა

სტრატეგია

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას თავისი მისიის განსახორციელებლად შემუშავებული აქვს შემდეგი სტრატეგია:

- ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესწავლას და

უზრუნველყოფს მათი ინტერესების მიხედვით ბიბლიოთეკის რესურსისა და სერვისის გამდიდრებას, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტთა და მეცნიერთა/მკვლევართა შესაძლებლობები გამოვლენას და მათ მომავალ პროფესიულ კარიერას;

- უნივერსიტეტის აკადემიურ/სამეცნიერო პესონალთან და სტუდენტებთან აქტიური მუშაობით ახდენს სასწავლო/კვლევითი პრიორიტეტების იდენტიფიცირებასა და მათ მხარდასაჭერად შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსის მოძიებას სამეცნიერო ბაზების ჩართვას ან სხვა რესურსის შესყიდვას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებსა და ქსელებში ჩართულობას, რათა თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გახადოს უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელებული სასწავლო და კვლევითი პროცესისა და პროექტების ერთ-ერთ ძირითადი მხარდამჭერი სტრუქტურა; ამავდროულად გაიცნოს და გაიზიაროს საბიბლიოთეკო საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკა, გააფართოოს ინფორმაციის მოპოვების და გაცვლის არეალი და ამით ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის მომსახურების გაუმჯობესებასა და საინფორმაციო რესურსების გაზრდას;
- ბიბლიოთეკისთვის მომსახურების გაუმჯობესებისა და რესურსების ხერლმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ახდენს საკუთარი ფონდებისა/კოლექციების და სერვისის დიგიტალიზაციას;
- თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზებისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით ახდენს უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელებული კვლევების პოპულარიზებასა და გავრცელებას, რომელიმე ადგილობრივ ან საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ბაზაში;

სტრატეგიული გეგმა 2018-2019 სასწავლო წლისთვის

#	შესასრულებელი სამუშაო	შესრულების ვადა	შემსრულებელი
1	ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და ციფრული მარაგების სისტემატურ განახლებას უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსების მიხედვით	არის უწყვეტი პროცესი ახალი სასწავლო პროგრამებისთვის 2018 წლის გაზაფხულის სემესტრი	ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი
2	მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ბიბლიოთეკაში არსებული მარაგების დიგიტალიზაციას (გაციფრება) და მასალების განთავსებას უნივერსიტეტის შიდა სამუშაო პროგრამა emis-ში	2018-2019 სასწავლო წელი	ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი; სტუდენტები უნივერსიტეტის IT სამსახური
3	მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მკითხველთა ბარათებისა და წიგნების მოძრაობის წარმოებას უნივერსიტეტის შიდა სამუშაო პროგრამა emis-ის მეშვეობით;	2018-2019 სასწავლო წელი	ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი; უნივერსიტეტის IT სამსახური
4	ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების ხელშეწყობისთვის, ციფრული მეცნიერებისა და სასწავლო/კვლევითი პროცესის ეფექტური კავშირისთვის ასევე საბიბლიოთეკო სერვისებისა და სამეცნიერო ელექტრონული ბაზების ეფექტური გამოყენებისათვის ტრენინგ კურსის შემუშავება და განხორციელება	2018 წლის გაზაფხულის სემესტრი	ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები
5	მკითხველთა საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირებისათვის გამოკითხვების წარმოება შედეგების ანალიზის საფუძველზე ფონდების შევსება, სამუშაო და მომსახურების პროცესის დაგეგმვა	ყოველ სემესტრში ერთხელ	ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი; სტუდენტები
6	კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;	წელიწადში ერთხელ	